

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის ანგარიში 2018 წლის გაწეული მუშაობის შესახებ

ფრაქცია „ქართული ოცნება“- დემოკრატიული საქართველო“ თავის რიგებში 18 საკრებულოს წევრებს აერთიანებს. ამათგან 13 დეპუტატი არჩეულია მაჟორიტარული წესით, ხუთი საკრებულოს წევრი კი პარტიული სიით არჩეულია. ფრაქციის წევრებიდან ოთხი საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეა ერთი- ფრაქციის თავმჯდომარე, ორი- ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეა.

ფრაქცია თავის მუშაობას წარმართავდა წინასწარ შედგენილი სამუშაო გეგმის მიხედვით. სულ ჩატარებულია 11 სხდომა, რომელზედაც განხილულია 18 საკითხი. ფრაქციის წევრების მიერ საკრებულოს სხდომებზე განსახილველად გატანილი იქნა 55 საკითხი. ამათგან 21- საფინანსო-ეკონომიკური, 12 -ინფრასტრუქტურული მიმართებების, 8 -სოციალური ხასიათის, 6 -კულტურულ-საგანმანათლებლო, 2- სპორტული და ა. შ. საერთოდ ფრაქციის წევრების მიერ საკრებულოს სხდომებზე შეტანილი და განხილული საკითხებიდან, ყველა მუნიციპალიტეტისათვის სასიცოცხლო ხასიათის, აქტუალური და შედეგის მომტანი იყო.

ამასთან უნდა აღინიშნოს ფრაქციის წევრების მიერ მოსახლეობასთან კავშირურთიერთობის განმტკიცების მიმართულებით გაწეული საქმიანობა. უნდა აღინიშნოს მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატების დადებითი საქმიანობის შესახებ. ეს უკანასკნელები გამორჩეულად აქტიურობას იჩენდნენ მუნიციპალიტეტის რეგიონებისათვის ისეთი აქტუალური საკითხების წამოწევისა და გადაწყვეტისათვის, როგორებიცაა სასოფლო გზების შეკეთება-კეთილმოწყობა, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, საკლუბო დაწესებულებების და ბიბლიოთეკების ქმედითუნარიანობის ამაღლება, ტურისტული პოტენციალების წარმოჩენა, პროგრამის აწარმოე საქართველოში დანერგვა და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ მაჟორიტარებთან ერთად ამომრჩევლებთან ურთიერთობის მიმართულებით აქტიურად იყვნენ ჩაბმულები ფრაქციის დანარჩენი წევრებიც.

ასევე უნდა აღინიშნოს ფრაქციის ახალგაზრდული ფრთის აქტიური მუშაობა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან კავშირურთიერთობის განმტკიცებისათვის, როგორც რაიონს შიგნით, ასევე რაიონს გარეთ სტუდენტ-ახალგაზრდობასთან, სადაც აქტიურად იქნა გამოყენებული როგორც სპორტული ღონისძიებები, ასევე კულტურულ -მუსიკალური და თეატრალური შეკრებები და წარმოდგენები.

ფრაქციამ, განვლილ საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია მასზედ კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის და ყველაფერი იმისათვის, რაც კიდევ შესასრულებელი რჩება, მომავალი საანგარიშო პერიოდში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.